საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

27/02/2025

MES 6 25 0000215709

გადაწყვეტილება

„სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველო ს ახალი და უახლესი ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 მაისის № 545164 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციისმინიჭების შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 მაისის № 545164 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
1.1 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 მაისის №545164 გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: "სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციისმინიჭების შესახებ".
1.2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 მაისის № 545164 გადაწყვეტილების დანართ №1-ში მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის ველში მიეთითოს: "საქართველოს ისტორიის მაგისტრი" / Master in History of Georgia.
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის №210672 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 18 თებერვალს.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ